

3

ქართული ენა

თეორიული მასალა


ნინო გორდეჯაძე
თინათინ კუხიანიძე



სულაკაურის
განმანათლებლობის
ცენტრი



შინაარსი

 ასო და ბგერა.....	4
სიტყვა და წინადადება	4
სიტყვის მარცვალი.....	5
ზმნა და არსებითი სახელი.....	5
სულიერი და უსულო არსებითი სახელები	6
სიტყვის გადატანა	6
ვინ? თუ რა?	7
მხოლობითი და მრავლობითი.....	7
გასულიერება	8
არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი	8
არსებითი სახელის ბრუნება.....	9
არსებითი სახელის კუმშვა.....	9
არსებითი სახელის კვეცა.....	10
მიმართვა.....	10
ბევრი თუ ცოტა?.....	11
ერთმანეთის მონაცვლე ზმნები.....	11
ზედსართავი სახელი.....	12
ნაცვალსახელი.....	12
ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში	13
მხოლობითი და მრავლობითი.....	13
ზმნა და დრო	14
მომავალი დრო	14
თავაზიანი საუბარი.....	15
პირველი პირი და მეორე პირი	16
ჩამოთვლა	17
სახელით მიმართვა	17
თხრობითი და კითხვითი წინადადებები.....	18
ბრძანებითი წინადადება	18
წერტილი, ორწერტილი, სამი წერტილი	19
ბრჭყალები	19

ასო და ბგერა



ასოს ვნერთ და ვხედავთ.



ბგერას წარმოვთქვამთ და გავიგონებთ.

გაიხსენე! ბგერა ორგვარია:

ხმოვანი და **თანხმოვანი**.

ქართულ ენაში ხუთი ხმოვანია:

ა, ე, ი, ო, უ

ყველა სხვა ბგერას კი თანხმოვანი ჰქვია.

ხმოვანი სიტყვას აჟღერებს, ახმოვანებს.

დააკვირდი:

წ●გნ● - წიგნი

კ●ლ●მ● - კალამი

●ვტ●რ● - ავტორი

სიტყვა და წინადადება

დააკვირდი:

სიტყვებია:


მზე, ამონათა.

დილა, ლამაზი, გათენება.

წინადადებებია:

მზემ ამონათა.

ლამაზი დილა გათენდა.



ჩამოთვლილი სიტყვები ერთმანეთს დაუკავშირდა და წინადადებები შეიქმნა. სიტყვებით რომ აზრი გადმოვცეთ, წინადადებას ვადგენთ.

ერთ პატარა ამბავს ორი წინადადებით მოგითხრობ:

გოგო დღეს მეგობრის დაბადების დღეზე მიდის.

მან საჩუქრად წიგნი შეარჩია.



დაიმახსოვრე: თხრობითი წინადადების ბოლოს **წერტილი** უნდა დასვა!

სიტყვის მარცვალი

სიტყვაში რამდენი ხმოვანიცაა, იმდენივე მარცვალია. დააკვირდი დამარცვლილ სიტყვებს და მარცვალი დაითვალე:

ცხე – ნი, ფა – ფა – რი, უ – ნა – გი – რი

როგორ უნდა დავმარცვლოთ სიტყვა, თუ მასში თანხმოვნები ერთმანეთის გვერდითაა?

როცა სიტყვაში თანხმოვნები გვერდიგვერდაა, პირველი თანხმოვანი წინა მარცვალს ეკუთვნის, დანარჩენი – მომდევნოს.

დაიმახსოვრე: სიტყვის სწორად დამარცვლა დაგეხმარება სტრიქონიდან სტრიქონზე სიტყვის სწორად გადატანაში.

გახსოვდეს: ერთი ასოს დატოვება ან გადატანა მიუღებელია.

დააკვირდი:

სანთელი **სან – თე – ლი**

ციმციმი **ციმ – ცი – მი**



ზმნა და არსებითი სახელი

შენ იცი, რომ ზოგი სიტყვა მოქმედებას გამოხატავს. სიტყვებს, რომლებიც მოქმედებას გამოხატავს, ზმნა ეწოდება.

ყურადღებით წაიკითხე ეს პატარა ამბავი:

ბაყაყმა და თაგვმა იჩხუბეს. ქორმა ჩამოიქროლა, მოჩხუბრებს კლანჭები ჩაავლო და ბუდისაკენ გააქანა.


როგორ ფიქრობ, ამ წინადადებებს რომ ზმნები ამოვაკლოთ, რა მოხდება? ამბავს გავიგებთ?

დააკვირდი:

ბაყაყმა და თაგვმა . ქორმა , მოჩხუბრებს კლანჭები და ბუდისაკენ .

ბაყაყი, თაგვი და ქორი არსებითი სახელებია.

ზმნა არსებითი სახელის მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს.



სულიერი და უსულო არსებითი სახელები

დააკვირდი:

ბიჭმა ქვა ისროლა.



გოგონამ ყვავილი მოწყვიტა.


ბიჭი და **გოგონა** სულიერი არსებითი სახელებია, მათ თავისით მოძრაობა შეუძლიათ.

ქვა და **ყვავილი** უსულო არსებითი სახელებია. მათ თავისით მოძრაობა არ შეუძლიათ.

სიტყვის გადატანა

ზოგჯერ სიტყვას სტრიქონის ბოლოს ადგილი აღარ ჰყოფნის. ამ დროს დამარცვლის წესს ვიყენებთ და სიტყვის ნაწილი ახალ ხაზზე გადაგვაქვს. ამაში კი გადატანის ნიშანი გვგვამარტება:

— იყო და არა იყო რა. იყო **ერ-**
თი მსუნაგი მელა. ერთხელ **მე-**
ლა ხესთან მივიდა და **ჩიგუნ-**
ას შესძახა...



ლექსი რომ მოთხრობას არ დაემსგავსოს, გადატანის სხვა წესს იცავენ. ლექსის სტრიქონს გადატანილი ნაწილი მარჯვნივ უნდა მიენეროს.

არ **კაკანებენ** **კაკებუბი**,
მელაც თვლემს **დიდი ხა-**
ნია,
უკანასკნელი **საკვები**
სლოტში **შუგანია**.

ვინ? თუ რა?

ვინ? და რა? არსებითი სახელების კითხვებია.

დააკვირდი:

1. – რა მიბაჯბაჯებს?

– დათვი.

– ვინ მიბაჯბაჯებს?

– ბავშვი.



2. – ბავშვს ვინ ჰყავს?

– ძმა.

– ბავშვს რა ჰყავს?

– ლეკვი.



დათვი და ლეკვი სულიერი არსებითი სახელებია, მაგრამ მათ დაესმის კითხვა რა?

აღბათ გახსოვს ხალხური ლექსი:

„მოდი, ვნახოთ ვენახი,

რამ შეჭამა ვენახი,

მიველ, ვნახე ვენახი,

თხამ შეჭამა ვენახი...“



კითხვა ვინ? დაესმის მხოლოდ ადამიანს:

ბავშვი – ვინ?

ძმა – ვინ?

მხოლოდითი და მრავლობითი

დააკვირდი წინადადებებს:

მხოლოდითი
რიცხვი



ჩიტი ტკბილად
გალობს.



ბავშვი ბურთით
თამაშობს.



მუხა მინდორში
დგას.

მრავლობითი
რიცხვი



ჩიტები ტკბილად
გალობენ.



ბავშვები ბურთით
თამაშობენ.



მუხები მინდორში
დგას.

დააკვირდი: უსულო არსებით სახელებთან ზმნა მხოლოდით რიცხვშია.

გასულიერება

თუ კარგად დააკვირდები, მიხვდები, რომ ზღაპრებში, მოთხრობებში, ლექსებში უსულო საგნები სულიერ-ვით, ადამიანისვით იქცევიან:



კენჭები მღერიან;
წყაროები საუბრობენ;
ყვავილები ჩურჩულებენ...

ასეთ შემთხვევაში მწერლები და პოეტები მრავლობით რიცხვში მოცემულ უსულო არსებით სახელებთან ზმნებს მრავლობითში ჩასვამენ.

ვაჟა-ფშაველა ერთ თავის ლექსში ამბობს: „უსულო საგნებს სული ჩავბერე, ავასაუბრე ლოდები კლდისა“...

დააკვირდი:

დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები...

ვაჟა-ფშაველა



არსებითი სახელი და რიცხვითი სახელი

დააკვირდი ნახატებს და წაიკითხე წინადადებები:



ბავშვები კითხულობენ.
ორი ბავშვი კითხულობს.
რამდენი ბავშვი კითხულობს?
მინდორში **ყვავილები** გაიშალა.
მინდორში **ორი ყვავილი** გაიშალა.
რამდენი ყვავილი გაიშალა?



ჩიტები ჭიკჭიკებენ.
სამი ჩიტი ჭიკჭიკებს.
რამდენი ჩიტი ჭიკჭიკებს?



დაიმახსოვრე:

რიცხვითი სახელის გვერდით არსებითი სახელი ყოველთვის მხოლოდ ერთ რიცხვშია.

არსებითი სახელის ბრუნება



როგორც ხედავ, სიტყვას **დევი** ყველა წინადადებაში სხვადასხვა დაბოლოება აქვს: დევი, დევმა, დევს, დევის, დევით, დევად, დევი.

სიტყვის ასე ცვლილებას **ბრუნება** ჰქვია. არსებითი სახელი **იბრუნვის**.

არსებითი სახელის კუმშვა

დააკვირდი:



თეას წითელი **ფანქარი** აქვს.



თეამ **ფანქრის** გათლა დაიწყო.



ნინოს **მეგობარი** ესტუმრა.



ნინოს **მეგობრის** სტუმრობა ძალიან გაუხარდა.

რა დაემართა ამ არსებით სახელებს? შუაში ასო ამოუვარდა, **შეიკუმშა**. **ფანქარი** და **მეგობარი** **იკუმშება**.

არსებითი სახელის კვეცა

დააკვირდი:



მინდორში **ყაყაჩო** გაიშალა.
ყაყაჩოს ფერი ძალიან მომწონს.



მინდორში **გვირილა** გაიშალა.
გვირილის ფერი ძალიან მომწონს.

რა დაემართა სიტყვას **გვირილა**? ბოლოში ასო დაკარგა, **შეიკვეცა**.
გვირილა **იკვეცება**. ქვემოთ მოცემული სახელებიც იკვეცება:



ქუჩაში **მანქანა** მიდის.
მანქანის ხმა შემომესმა.




ეზოში დიდი **ხე** დგას.
ხის ტოტზე ჩიტის ბუდეა.

ა და **ე** ხმოვნებზე დასრულებული ზოგი არსებითი სახელი **იკვეცება**.

მიმართვა

ზღვაო, ალელდი, ალელდი,
ქარტეხილს დაემორჩილე,
აამთაგორე ტალღები,
კიდევს გადააცილე!

აკაკი წერეთელი



ამ პატარა ლექსში აკაკი წერეთელი ზღვას მიმართავს. მიმართვის დროს ვახსენებთ ხოლმე იმ არსებით სახელს, რომელსაც მივმართავთ:

მზეო, ამოდი და ქვეყანა გაანათე!

თამარ, თაროდან წიგნი მომანოდე.


დაიმახსოვრე: მიმართვის შემდეგ მიმე იწერება.




ბევრი თუ ცოტა?

ზოგი რიცხვითი სახელი საგნების ზუსტ რაოდენობას არ გამოხატავს, მაგრამ აღნიშნავს, ეს საგანი ბევრია თუ ცოტა:

- სანაპიროზე **ბევრი** ნიჟარაა.
- სანაპიროზე **უამრავი** ნიჟარაა.
- სანაპიროზე **აუარებელი** ნიჟარაა.
- სანაპიროზე **უთვალავი** ნიჟარაა.
- სანაპიროზე **ურიცხვი** ნიჟარაა.



- აკვარიუმში **ცოტა** ნიჟარაა.
- აკვარიუმში **რამდენიმე** ნიჟარაა.



დაიმახსოვრე:

ამ სიტყვების გვერდით არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში უნდა ჩავსვათ.

ერთმანეთის მონაცვლე ზმნები

ზოგიერთ ზმნას მრავლობით რიცხვში სხვა სიტყვა ენაცვლება:



გოგონამ ფურცელი
დააგდო.



გოგონამ ფურცლები
დაყარა.



მაგიდაზე წიგნი **დევს.**



მაგიდაზე წიგნები
ანყვია.



ბავშვი სკამზე **ზის.**



ბავშვები სკამზე
სხედან.

რიცხვში მონაცვლე ზმნებია: ვარდება ცვივა; ჯდება სხდებიან.

დაასრულე: ფიფქვი ვარდება – ფიფქები ...

ზედსართავი სახელი

არსებით სახელს ზოგჯერ ისეთი სიტყვა ახლავს, რომელიც აღნიშნავს, როგორია ეს არსებითი სახელი:



მცხუნვარე მზე კაშკაშებს. **დიდი გემი** მოცურავს.

თეთრი თოლია მოფრინდა.

მცხუნვარე, დიდი, თეთრი ზედსართავი სახელებია.

დაიმახსოვრე:

ზედსართავ სახელს დაესმის კითხვა: **როგორი?**

ნაცვალსახელი

დააკვირდი:



ელისო წიგნს კითხულობს.
ის წიგნს კითხულობს.



ლადო, წერილს წერ?
შენ წერილს წერ?

მე ცისფერი მაისური მაცვია.

მე, შენ, ის ნაცვალსახელებია.

მე პირველი პირის ნაცვალსახელია;

შენ მეორე პირის;

ის მესამე პირის.



ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში


დააკვირდი:

ჩვენ წიგნს ვკითხულობთ.



თქვენ წერილს წერთ.

ისინი დაფას ასუფთავებენ.



მხოლოებითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
მე წერილს ვწერ.	ჩვენ წერილს ვწერთ.
შენ წერილს წერ.	თქვენ წერილს წერთ.
ის წერილს წერს.	ისინი წერილს წერენ.

მხოლოებითი და მრავლობითი

დააკვირდი:

მხოლოებითი რიცხვი:

მრავლობითი რიცხვი:



1. ბიჭი იცინის.
ის იცინის.
2. ბიჭმა გაიცინა.
მან გაიცინა.
3. ბიჭს ეცინება.
მას ეცინება.
4. ბიჭის სიცილი ისმის.
მისი სიცილი ისმის.



1. ბიჭები იცინიან.
ისინი იცინიან.
2. ბიჭებმა გაიცინეს.
მათ გაიცინეს.
3. ბიჭებს ეცინებათ.
მათ ეცინებათ.
4. ბიჭების სიცილი ისმის.
მათი სიცილი ისმის.

